თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7435213

ნომერი: AR11083304

თარიღი : 26.03.2025

გაცემის თარიღი : 02.04.2025

გაცნობის თარიღი : 02.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140 ; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თემურ კუჭუხიძე პ/ნ 01010000254
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 11 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024

წლის 26 მარტს №AR11083304 განცხადებით მომართა თემურ კუჭუხიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებით, №01.17.11.027.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 4 ივლისიდან 2028 წლის 4 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის №7139111 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებაში მშენებლობის ეტაპებთან მიმართებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ შეთანხმებულ +2.85 ნიშნულის არქიტექტურულ გეგმაზე №9 საცხოვრებელ ბინაში „9-10“ მონაკვეთებსა და №15 საცხოვრებელ ბინაში „2-3“ მონაკვეთებში არასწორად იყო დატანილი შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსის მოაჯირები.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი +2.85 ნიშნულის არქიტექტურულ გეგმა შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ +2.85 ნიშნულის არქიტექტურულ გეგმაზე №9 საცხოვრებელ ბინაში „9-10“ მონაკვეთებსა და №15 საცხოვრებელ ბინაში „2-3“ მონაკვეთებში არასწორად იყო დატანილი შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსის მოაჯირები. შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებული +2.85 ნიშნულის არქიტექტურული გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილით (გვ. 2).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებაში და შეთანხმებული +2.85 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული არქიტექტურული გეგმით (გვ. 2).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 4 ივლისის №7115552 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.